ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 295 (19736) ხუთშაბათი, 25 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი კადრების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

24 დეკემბერს გაიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელი კადრების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომლის მონაწილეებმა განიხილეს წარმოებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების დისციპლინის, ორგანიზებულობის განმტკიცების, პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხი.

კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიკომების უფლებათა მჭონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, საახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პროფკავშირული ორგანოების, რესპუბლიკის მსხვილი სამეცნიერო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელი მუშაკები.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ბ. ვ. ნიკოლსკიმ.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ტ. ვ. ლორთქიფანიძე,** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. ი. შადური,** რუსთავის საახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **კ. შ. ბაქრაძე,** საქართველოს სსრ მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **თ. ბ. კვირნაძე,** საწარმოო გაერთიანება „საქქვანამშრომის“ გენერალური დირექტორი **ბ. გ. სანაკოიძე,** საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტკომის მდივანი **რ. კ. ბერიძე,** [illegible] კომიტეტის თავმჯდომარე [illegible] საქართველოს უფროსის მოადგილე, პოლიტგანყოფილების უფროსი **ჯ. ა. კახიანი,** ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი **ზ. დ. პაპავა,** საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. თ. ლობჟანიძე,** საქართველოს სსრ სახალგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლ. ა. ღურწკაია.**

კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ი. მ. ვლადიჩენკო.**

განხილულ საკითხზე კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია.

აქტივის კრებამ მოიწონა და მიიღო საქართველოს სსრ მშრომელთა მეთორმეტე ხუთწლედისა და 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ბ. ა. მალკოვი.** (საქინფორმი).

ეს შენი საზრუნავია, მექანიზატორო!

ილაადრიან იწყება შრომითი დღე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებში. მოსავლის აღების დამთავრებისთანავე მექანიზატორები მანქანების შეკეთებას შეუდგნენ. გვარიანი მოცულობის სამუშაო აქვთ შესასრულებელი. საგაზაფხულოდ უნდა გამართონ და მოაწესრიგონ ასიათასობით ტრაქტორი, გუთანი, სათესელა, კულტივატორი, მოსავლის ასაღები მანქანა და მექანიზმი. წარმატებით ეწევიან ტექნიკის მზადებას ბელორუსიის, ლატვიის, ბრიანსკის, კოსტრომისა და ბევრი სხვა ოლქის მეურნეობანი.

ხუთწლედის მეორე წლის უხვი მოსავლის, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის ზრუნვით არის ნაკარნახევი ბელგოროდის, ოდესის, პავლოდარის, ნამანგანის ოლქების, ყირგიზეთისა და ესტონეთის მექანიზატორთა ინიციატივა. მათ გააჩაღეს მასობრივი შეჯიბრება სახელოსნოებში, სამანქანე ეზოებში, ტექნიკური მომსახურების პუნქტებში, სარემონტო საწარმოებში. მექანიზატორთა მიზანია დროულად ჩააყენონ მწყობრში ყოველი მანქანა. შეჯიბრების ინიციატორებმა გადაწყვიტეს გაუმჯობესონ რემონტის ხარისხი, უზრუნველყონ მანქანების ტექნოლოგიური გამართვა, შეამცირონ სახსრების ხარჯი, დაზოგონ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

ტყუილად ნუ დავკარგავთ დროს! — ამ დევიზით შრომობენ ისინი. ზამთრის პერიოდში დასახული აქვთ არა მარტო შეაკეთონ ტექნიკა, არამედ შეასწავლონ კიდეც სამუალო რგოლის სპეციალისტებს, მექანიზატორებს შრომის მოწინავე მეთოდები, ინტენსიური ტექნოლოგიების სწორი გამოყენება, აუმაღლონ ოსტატობის დონე და კლასი იმათ, ვინც მინდვრად გაიყვანს მანქანებს. ახლა ხომ მეურნეობებში ჯერ კიდევ ცოტანი არიან მაღალკვალიფიციური ოსტატები. თუ მთლიანად ქვეყანაში ტრაქტორისტ-მემანქანეთა თითქმის ორ მესამედს პირველი და მეორე კლასის მექანიზატორები შადგენენ, თურქმენეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში ისინი ნახევარზე ნაკლებნი არიან. აკამაღლოთ მექანიზატორთა კვალიფიკაცია — ეს ნიშნავს ყოველ რაიონში, თითოეულ მეურნეობაში გავზარდოთ ტექნიკის მწარმოებლობა, რაც უხვი მოსავლის უტყუარი გზაა.

მოწინავე მეურნეობანი სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ მათ დიდი ხანია უცილობელ წესად გაიხადეს ერთი ჭეშმარიტება: მექანიზატორთა შრომას მხოლოდ მაშინ გამოაქვს კარგი ნაყოფი, როდესაც ტექნიკა სრულიად მზეშია, როდესაც ხელმძღვანელები და სპეციალისტები გვერდს კი არ აუვლიან სამანქანე ეზოს, სარემონტო სახელოსნოს, სასწავლო კლასს, არამედ ნიადაგ ინტერესდებიან საქმის ორგანიზაციით, საუკეთესოთა გამოცდილებით, არა მარტო იციან მერემონტეთა მუშაობაში წამოჭრილი სიძნელენი, არამედ ეხმარებიან კიდეც მათი უსწრაფესი აღმოფხვრისათვის. ამ უბრალო ჭეშმარიტების მივიწყება ადამიანებს გულს უცრუებს სამუშაოზე, უკლავს საქმიან განწყობილებას. ნელა ეწევიან რემონტს, მაგალითად, უზბეკეთის ბოელ რიგ რაიონებში, პერმის, ტიუმენის, ჯამბულის ოლქებში. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მანქანათა შეკეთებას ხშირად გაზაფხულამდე აჭიანურებენ. სწორედ მაშინ იწყება იერიშობანა. ვნება ადგება სამუშაოთა ტემპსა და ხარისხს. თავიდან აიცილონ ეს, იზრუნონ ადამიანთა საჭიროებებისათვის, რაციონალურად მოაწყობინონ თავიანთი შრომა — ეს მეურნეობების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, სოლქო და სამხრეთ აგროსამრეწველო კომიტეტების თითოეული ხელმძღვანელისა და სპეციალისტის მოვალეობაა.

წარსული წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, როდესაც ბევრს იგებენ მეურნეობანი, რომლებიც სათეს ტექნიკასთან ერთად ამზადებენ სამელიორაციო მანქანებს, სასუქის შესატან მექანიზმებსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებს, სამკელებსა და სათესლეებს, საკვებასაღებ და სამარცვლე კომბაინებს. ეს მუშაობა დაყოვნებას ვერ ითმენს. დღეს არანაკლებ საჭიროა ვიზრუნოთ საწვავ-საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების მომარაგებისათვის. უნდა გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება და ზამთრის პერიოდშივე დავამთავროთ სამეურნეოანარშიანი ბრიგადებისა და რგოლების დაკომპლექტება. ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ მანქანების პარკი, უფრო სწრაფად მოვაწყოთ მინდვრის სამუშაოები.

გაზაფხულის დამდეგისათვის დასახულია ქარხნებიდან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნოს დიდძალი ახალი ტექნიკა, სათადარიგო ნაწილები, ამავე დროს ზოგიერთი საწარმო, მათ შორის ოდესის გაერთიანება „ნიადაგმანქანა“, ნოგინსკის სათბობაპარატურის ქარხანა, ალტაის სატრაქტორო საწარმო აგვიანებენ დეტალების მიწოდებას. მანქანათმშენებლებმა ვადაზე ადრე უნდა შეასრულონ შეკვეთები, სოლო ტრანსპორტელებმა დროულად მიიტანონ ტვირთი მეურნეობებში.

**ვერ შეეურიგდებით იმას, რომ აგრომრეწვის კაპიტალური მშენებლობის სამშაო

ინტენსიფიკაციის კურსით, სრული დაჭვირთვით

მრავალცვლიანი მუშაობა წინსვლის დიდი რეზერვია

ლენინგრადი — რევოლუციის აკვანი, გმირი ქალაქი, ქალაქი მუზეუმი, აღმშენებელთა ქალაქი... აქ ყველაფერი ისტორიით სუნთქავს და დღევანდელობით ცოცხლობს. მისი ყველა ძველი უბანი, ბრწყინვალე არქიტექტურულ ძეგლთა ანსამბლები, რევოლუციამდელი დიდებული ნაგებობანი, ორგანულად რომ შერწყმიან თანამედროვე შესანიშნავ მასივებსა და კვარტალებს, წელიწადის ყოველ დროს ანდამატივით იზიდავენ და განაცვიფრებენ ასიათასობით უცხოელ თუ საბჭოთა დამთვალიერებელს. იგი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ჩამოყალიბებისა და გოლიათური წინსვლის, საბჭოთა ადამიანების სულიერი გაუტეხლობისა და გასაოცარი სიმამაცე-სიმედგრის ყველაზე ნაღდი, ყველაზე უტყუარი მემატიანეა.

მაგრამ ქალაქის მთავარი სიმდიდრე, მისი სისტემატური წინსვლა-წარმატებების უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორი უწინარესად აქაური ადამიანები, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დასაქმებული მუყაითი მშრომელები არიან, ინიციატივიანი, შემოქმედებითი მუშაობით რომ განამტკიცებენ მიღწეულს და მაძიებლური გარჯის საუცხო ნიმუშს იძლევიან. სწორედ ამის შედეგად ბევრ ისეთ სასაკეთო სიახლესა და წამოწყებას ჩაყრია აქ საფუძველი, შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით რომ გაგრცელებულ-დამკვიდრებულა.

და აი, კიდევ მათი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ინიციატივა. „ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ — აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმზე, — განიხილა და მოიწონა პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის წინადადებანი, და მიიჩნია, რომ ისინი საზოგადოებრივი წარმოების დაჩქარებული განვითარების ფრიად პერსპექტიული მიმართულებას სახავენ. გამოჩენილ ინიციატივას ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს ეფექტიან გზას, რომელსაც უნდა დაადგეს ქვეყნის სხვა რეგიონების მრეწველობაც“.

როგორც აღნიშნული პლენუმის მასალებიდან ვიცით, სკკპ ძირითადად ეხება სამრეწველო, განსაკუთრებით მანქანათსაშენებელ საწარმოებში მრავალცვლიანი მუშაობის პრაქტიკის დამკვიდრებას. ხოლო ის, რომ საწარმოო ფონდების ახალი და პროგრესული ნაწილი გამოიყენონ ორ-სამ ცვლად და ამ საფუძველზე შეასრულონ მიმდინარე ხუთწლედის გეგმები, მოძველებული მოწყობილობა კი ალარ ამუშაონ და გამოთავისუფლებული ფართობი მოახმარონ თანამედროვე წარმოების განვითარებას, ლენინგრადელებს დაუზოგავს დაახლოებით სამ მილიონ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობს. ამასთანავე მანქანათმოწყობილობათა განახლებას შედეგად ხუთწლედის დამლევს პროგრესული ტექნიკის ხვედრითი წილი ქალაქისა და ოლქის ჩარხების პარკში გაორკეცდება, გაუმჯობესდება სამრეწველო საწარმოთა მუშაობის თვისებრივი მაჩვენებლები. საგრძნობლად შემცირდება სამრეწველო ახალშენებლობებისათვის გამიზნული კაპიტალდაბანდებანი. დაზოგილი სახსრების ნაწილი მოხმარდება საწარმოთა ტექნიკურ რეკონსტრუქციას, და, რაც მთავარია, სახლნო მშენებლობის გაფართოებას, ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობას. ეს კი იძლევა დიდი ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომპლექსური გადაჭრის საშუალებას. ამიტომაც მიიჩნია პარტიის ცენტრალური კომიტეტის წელთაშორისმა ივნისის პლენუმმა მრავალცვლიან მუშაობაზე გადასვლა დიდმნიშვნელოვან ინიციატივად.

დიახ, ამ პატრიოტულ, ყოველმხრივ კარგ წამოწყებას მართლაც დიდი როლი განეკუთვნება ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინსვლისათვის პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლენინგრადელთათვის იგი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია წარმოების ინტენსიური განვითარების რელსებზე გადაყვანის მნიშვნელოვანი საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შემუშავებული ვრცელი ტერიტორიულ-დარგობრივი პროგრამისა „ინტენსიფიკაცია-90“. სწორედ მისი განხორციელებისათვის ყოველდღიური მაძიებლური გარჯით ლენინგრადში ამუამად ფართოდ ინერგება სიახლე, რომელსაც

გამოცდილების მისაბაძი მაგალითი: ლენინგრადის პრაქტიკა

როგორ გრძნობთ თავს მეორე ცვლაში?

„ინტენსიფიკაცია-90“ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისა და სამრეწველო საწარმოებში მრავალცვლიანი მუშაობის პრაქტიკის დამკვიდრებისათვის ლენინგრადში დღემდე გაწეულ თუ მიმდინარე მუშაობაზე კიდევ საკმაოდ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ახლა უმჯობესია რამდენიმე საწარმოს კონკრეტული მაგალითით ვნახოთ, რა კეთდება აქ საამისოდ და როგორია ამ საქმიანობის ეფექტიანობა.

„ოქტომბრის დროშის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ქალაქსა და ოლქში ერთ-ერთი მოწინავეა. აქ სათანადოდ აუღეს ალღო დროის მოთხოვნებს, ათ წელზე მეტია ზრუნავენ წარმოების სრულყოფისა და ინტენსიფიკაციისათვის. საამისოდ შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, ნაკადები, ამოქმედდა გადამმუშავებელი ცეხტრები, რობოტები, მოძრავდა მუშები. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა განვლილი წლის მიწურულს საწარმოს ერთერთ მოწინავე, ორმოცდამეერთე მექანიკურ საამქროში მოქნილი ავტომატიზებული უბნის ამოქმედება, რომელიც მართვის ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით მუშაობს.

უბნის შექმნამ, გარდა იმისა, რომ საგრძნობლად გაადიდა წარმოების მოცულობა, 4-6-ჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, სხვა მხრივაც სასარგებლო შედეგი მოიტანა: საამქროში მინიმუმ 1,5-ჯერ შეამცირა საწარმოო ფართობი, გამოთავისუფლა 44 მუშა (ახლა უბანს ბრიგადული იჯარით მოუშავე 16-კაციანი კოლექტივი ემსახურება), ხელფასის ფონდში დაზოგა 105 ათასი პირობითი მანეთი, 10-12-ჯერ შეამცირა საწარმოო ციკლი. ბრიგადა ამჟამად პრაქტიკულად სამ ცვლად მუშაობს. როგორც ბრიგადირმა ა. ვოლკოვმა გვითხრა, აპირებენ ისე მოაწყონ საქმე, რომ ღამის ცვლაში მანქანა-დანადგარებმა უადამიანოდ იმუშაოს.

— ეს უბანი გაერთიანებაში ჯერხნობით ერთადერთია,—გვითხრა მთავარი ტექნოლოგის მოადგილემ ა. შურმა. — გადაწყვეტილი გვაქვს იმავე მექანიკურ საამქროში კიდევ სამი ავტომატიზებული ხაზის დამონტაჟება, 1988 წლისთვის კი პირველი მოქნილი ავტომატიზებული საამქროს შექმნა. ამჟამად ჩვენი მიზანია თანამედროვე, დიდმწარმოებლური დანადგარების მაქსიმალური დატვირთვა. აღნიშნული უბანი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ფაქტობრივად არ წყვეტს მუშაობას, მაგრამ აქაც ყოველნაირად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ მანქანა-დანადგარების მომზადება-პროფილაქტიკისათვის განკუთვნილი დროის ანაკარგები, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საწარმოო სიმძლავრეები მთელ გაერთიანებაში.

იმ მიზნით, რომ უკეთ მოვმზადებულიყავით მრავალცვლიანი მუშაობისათვის, — ჩაერია საუბარში გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. შუნიცევი, — გაგვეგო ამის თაობაზე კოლექტივის აზრი, შევიმუშავეთ და მშრომელებს დავურიგეთ სპეციალური ანკეტები. მათი სურვილებისა და შენიშვნების გათვალისწინებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მოსაგვარებელიც საკმაოდ არის. სწორედ ამაზე ვმუშაობთ ახლა. ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის, ცვლიანობის კოეფიციენტის ზრდისა და მაქსიმალური ფონდუკუგების საკითხების მოგვარებას ხმარდება ამჟამად მთელი ჩვენი იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობა.

მრავალცვლიანი მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ, გატჩინის ავეჯის კომბინატშიც. აქ წარმოების განახლების პარალელურად სათანადოდ იზრუნეს მომსახურების დარგის მუშაკთა საქმიანობის გარდაქმნისთვისაც.

— თანამედროვე დანადგარების, ავტომატიზებული ნაკადური ხაზების დანერგვამ,—გვითხრა კომბინატის პროფკომიტეტის თავმჯდომარემ რ. ფროლოვამ,—საშუალება მოგვცა ჩამოგვეწერა ათობით მოძველებული აგრეგატი და ამით გამოგვეთავისუფლებინა საწარმოო ფართობის საგრძნობი ნაწილი. სწორედ ამ ადგილებში განვალაგეთ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. ისინი თავად მუშებმა მოაპირკეთეს, რისთვისაც გამოიყენეს წარმოების ნარჩენები, რომლებსაც მანამდე უბრალოდ სანაგვეზე ყარიდნთ. გამართულად მუშაობს საადილო, კაფე, საჩაიე, ექვსი საუნა...

მაგრამ გაცილებით ძნელი აღმოჩნდა მეორე ცვლაში დასაქმებული მუშების სამედიცინო, საკვებო, სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა. გადაწყვეტეთ არ დაელოდებოდით ახალ გრაფიკზე საქალაქო მეურნეობის გადასვლას და თავად მოგვეძებნა გამოსავალი. გავაფორმეთ ხელშეკრულება სავაჭრო ორგანიზაციებთან, მოვაწყვეთ შეკვეთების მაგიდა და მუშებს, თუ შეიძლება ითქვას, პირდაპირ ჩარხთან მიეღით პროდუქტები. მოვაგვარეთ სამედიცინო მომსახურების საკითხი. ხოლო იმისათვის, რომ მეორე ცვლაში დასაქმებული შეეძლოთ საქალაქო ტრანსპორტით სახლამდე მისვლა, ორმოცი წუთით შევამციროთ ღამის მუშაობის ხანგრძლივობა. ამ დაკლებულ საათებს მეავეჯენი ერთ-ერთ შაბათ დღეს მუშაობით ანაზღაურებენ (ეს, ცხადია, მუშებთან შეთანხმებით მოხდა). ორცვლიანი მუშაობა საწარმოსთვისაც მომგებიანია და მუშებისთვისაც — ისინი ხომ ამისათვის ხელფასის დანამატს იღებენ...

ანალოგიური მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ნაკლოვანებები და ხარვეზებიც საკმაოდ არის. ჯერჯერობით ოლქის ყველა საწარმოში არ იგრძნობა ერთნაირი პასუხისმგებლობა და მონდომება, ზოგან ნელი ტემპით გარდაქმნან მუშაობას დღევანდელობის მოთხოვნათა მიხედვით. ეს ნათლად წარმოჩნდა ახლახან, როდესაც პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომამ განიხილა საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობს პარტიის ნევის რაიონული ორგანიზაციები ორ-სამცვლიან მუშაობაზე ფაბრიკა-ქარხნებში.

რომთა გადაყვანისათვის პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობას.

დიახ, ნაკლოვანებები და სიძნელეები აშკარაა ეტაპზე საკმაოდ არის, მაგრამ წარმოების ინტენსიფიკაციისა და მრავალცვლიანი მუშაობის დანერგვის, რესურსების ეკონომიისათვის გაწეული გარჯის სიკეთეც აშკარაა. სწორედ ამის შედეგია, რომ ლენინგრადის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა წლევანდელ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის წარმოების მოცულობა, მანქანათმშენებლობაში კი ეს მაჩვენებელი შვიდი პროცენტია. ნაწარმის მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდით. კარგია სხვა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც. მაგრამ ლენინგრადელები მარტო რაოდენობრივი მონაცემების გაუმჯობესებისათვის კი არ იღვწიან. ისინი კარგად გრძნობენ, რომ დღეს, როგორც არასდროს,

მთავარია პროდუქციის ხარისხი

ამ აქსიომური ჭეშმარიტების პრაქტიკული საქმეებით ხორცშესხმა მუდამ იყო აქაური მშრომელების, პარტორგანიზაციების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი. მაგრამ მათი პასუხისმგებლობა განსაკუთრებით იზრდება ახლა, პროდუქციის სახელმწიფო მიღების პირობებში. 1987 წლის პირველი იანვრიდან ამ წესით იმუშავებს ოლქის 48 სამრეწველო საწარმო.

ერთ-ერთი მთავანია საწარმოო გაერთიანება „ლენინგრადის ლითონის ქარხანა“, რომლის ნაწარმს მუდამ მოუთმენლად ელიან ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ენერგეტიკულ მშენებლობებზე. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ეს გაერთიანება შევიდა ქვეყნის იმ 19 მოწინავე საწარმოს რიცხვში, რომელთა მშრომელების ნახელავი განსაკუთრებით გულდასმით კონტროლდებოდა.

— წლევანდელი წლის დასაწყისში, — თქვა პროდუქციის სახელმწიფო მიღების ხელმძღვანელმა ი. იამალდინოვმა, — სახსტანდარტის მუშაკები შერჩევით ლებულობდნენ აქაურ ნაწარმს, აგვისტოდან მოყოლებული კი ვიღებთ მთლიან პროდუქციას, მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. თუ პირველ ხანებში ნაწარმის თითქმის მეოთხედი ხელახალი დამუშავებისათვის უბრუნდებოდა დამამზადებლებს, ამჟამად ეს მაჩვენებელი 7-8 პროცენტამდეა შემცირებული.

პროდუქციის სახელმწიფო მიღების წესით მუშაობის და, საერთოდ, ნაწარმის ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის ასევე ნაყოფიერად იღვწიან ქარხანა „ელექტრიკოსის“ (ისიც შედიოოლქის ტერიტორიაზე, 19 საწარმოს რიცხვში), საარმოო გაერთიანების „ოქტომბრის დროშის“ ინჟინერ-ტექნიკოსთა ერთ-ერთ ადგილი. ... ორ-სამცვლიან მუშაობაზე ... ...

ექსტრემალი
ფაქტებში • მოვლენებში

ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

26 დეკემბერს თბილისში გაიმართება მილიციის უბნის ინსპექტორთა რესპუბლიკური შეკრება, რომელიც იმსჯელებს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მათი როლის შემდგომი გაძლიერების საკითხებზე. ქვემოთ ვბეჭდავთ მასალას ერთ-ერთ უბნის ინსპექტორის მუშაობის შესახებ.

ᲘᲜᲡᲞᲔᲥ-ᲢᲝᲠᲘᲡ ᲣᲫᲘᲚᲝ ᲓᲐᲛᲔᲔᲑᲘ



ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვახტანგ ჩხუბაძემ ერთხელ მითხრა, გზაბნეულმა და ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილმა ადამიანებმა იმდენი საზრუნვა-საფიქრალი გამიჩინეს, მშვიდი ძილი მენატრებაო.

როცა სამოქმედო უბანს მიგიჩენენ, განსაზღვრულ ტერიტორიას კი არა, ათასობით ადამიანის სახარულსა და მწუხარებას, მათს ყველს გაბარებენ და შენ მოწოდებით ჩეკისტი თუ ხარ, მათზე პასუხისგებ ძილიც გაგიფრთხილა და მოსვენებაც. ექვსი ათასი კაცია ვახტანგის სამოქმედო უბანში. რამდენი ადამიანიც არის, იმდენი ხასიათი, იმდენი სურვილი და მისწრაფებაა. ყველას სულში უნდა ჩაიხედო, თითოეულის საფიქრალი უნდა გიგო, თითოეულს ხელი შეაშველო. ყველას კეთილი სურვილი როდი ამოძრავებს, ერთნი მოძალადეებისაგან არიან დასაცავი, მეორენი თავად არიან მოძალადენი. გადაცდომისაკენ მრავალი გზა მიდის, ჭეშმარიტებისაკენ — მხოლოდ ერთი. მთავარი ის არის, როგორმე ყველა იმ ჭეშმარიტების გზაზე დაayენო.

სამეულ მურადიანმა ბევრი თავსატეხი გაუჩინა ინსპექტორს. ბოზარდმა სწავლაზე გული აიცარა, ქუჩაში ხეტიალი დაიწყო, საეკვო ყოფაქცევის ბიჭებს მიეკ-

ედა, აზარტულ თამაშს მიჰყო ხელი. ვერაფერს გახდნენ ვერც ვმობლები, ვერც მეათე სკოლის პედაგოგიური კოლექტივი. არასრულწლოვანთა ბაზით მომუშავე მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა იბრაგიმ ქადაგიძემ და ვახტანგმა ამ საქმეს ერთად მოჰკიდეს ხელი. ხან დაყვავებით, ხან მუქარით ახდენდნენ გავლენას. გაიგეს, ვისთანაც ჰქონდა ურთიერთობა მურადიანს. მოზარდებს არც ერთი დღე არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. როგორც იტყვიან, აჩრდილივით თან დასდევდნენ, სკოლაში აკითხავდნენ, ზოგჯერ საქმიან დავალებებსაც აძლევდნენ. შეაკრძალა რეკომბა, აღსაზრდელებთან თომინებით მუშაობამ საყოფაო გამოიღო. ჩხუბაძე და ქადაგიძე მურადიანების ოჯახის ყველაზე სასურველი სტუმრები გახდნენ. შვილი თქვენ გადამრჩინეთო, ეუბნებოდნენ მაღლიერი მშობლები. ნამდვილად ასე იყო. სამი წელი გგრძელდა, სანამ ბიჭს კალაპოტში ჩააყენებდნენ. სამეული ამჟამად არმიაში მსახურობს, კეთილსინდისიერად იხდის მხედრულ ვალს, მშობლებმა სამხედრო ნაწილიდან მადლობის ბარათიც კი მიიღეს. ვახტანგი ისეთი სითბოთი და ქმაყოფილებით ლაპარაკობდა სამეულ მურადიანზე, თითქოს ღვიძლი შვილი ყოფილიყო. პატარა საქმე კი არ გაკეთებია, ყმაწვილი გზაზე დააყენა. ეს ერთადერთი შემთხვევა როდია. ვახტანგმა ათობით წერილი წაგვაკითხა. ყმაწვილები მამობრივი ზრუნვისათვის მადლობას უთვლიდნენ არმიიდან, უმადლესი და პროფტექნიკური სასწავლებლებიდან.

უბნის ინსპექტორები ზრუნვას არ აკლებენ პატიმრობიდან დაბრუნებულ მოქალაქეებს: ეხმარებიან ჩაწერაში, სამუშაოზე მოწყობაში, არიან ისეთნიც, რომლებსაც საჭირო დასაკვნები არ გამოუტანიათ ცხოვრების გაკვეთილებიდან, მათთან არაფერი არ გადის, ასეთ ხალხთან გაცილებით რთული და ძნელია მუშაობა. ვახტანგმა დაასახელა ათობით კაცი, მათ შორის რ. დავარაშვილი, ფრ. კუცია, პ. პენკინი, ტ. ტუსაკინა და სხვები, რომლებმაც, როგორც იტყვიან, კავშირი გაწყვიტეს წარსულთან, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეს მოჰკიდეს ხელი და მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. მხოლოდ უანგარო და თავდადებულ შრომას მოაქვს სიკეთე და დიდსული. არამი ლუკმა ჯერ არავის შერგება. ეს ჭეშმარიტება ბევრმა შეიგნო, მაგრამ ცხოვრებაში შეხვდებით გაუკუღმართებულებსაც, რომლებზეც არც შეგონება, არც გაფრთხილება და არც მუქარა არ მოქმედებს. ვინც საზოგადოებას განუდგება, ვინც მხოლოდ ბოროტებაზე იფიქრებს, აუცილებელი ხდება მათი იზოლაცია. ნოე გოგუა 22 წლისაა. ძარცვისათვის უკვე წარდგა მართლმსაჯულების წინაშე. შეღავათი მისცეს, ვადამდე გაათავისუფლეს, იფიქრეს ახალგაზრდაა, საჭირო დასკვნას გამოიტანსო. მაგრამ ასე არ მოხდა. ორ ადგილს მოაწყვეს სამუშაოდ. ადმინისტრაციული ზედამხედველობა დაუწესეს. კარგად იცოდა, რომ რეჟიმი არ უნდა დაერღვია. არ იქნა, გონს ვერ მოიყვანეს, ყვრაფერს გახდნენ. ბოლოს ისევ განსასჯელის სკამზე მოხვდა. ასეთივე ბედი ეწოინ ს. მკრტჩიანს, გ. ჟღენტსა და სხვებს. საბჭოთა სამართალი ჰუმანურია, მაგრამ როცა ყოველგვარი ზღვარი გადაიკეთებული, იგი მკაცრად მოჰკითხავს დამნაშავეს.

რატომ უნდა გაქრეს უკვალოდ ადამიანი? ეს კითხვა ვახტანგს მრავალჯერ დაუსვამს საკუთარი თავისთვის. რამდენი რამ ასწავლა მას ცხოვრებამ, რამდენი რამ შესძინა საკუთარმა და სხვათა გამოცდილებამ. ამიტომ არის, რომ ძალ-ღონეს არ იშურებს, ოღონდ გზაბნეული გადაარჩინოს და საზოგადოებას დაუბრუნოს.

გიორგი ელიავა კარგა ხანს მუშაობდა საზღვაო ფლოტში. სასმელს მიეძალა. ვერ იქნა, თავს ვერ მოერია, გული აიცრუა სამუშაოზე, არც ამხანაგებს ათხოვა ყური, არც სანაოსნოს ხელმძღვანელებს. ბოლოს, იძულებული გახდნენ ფლოტიდან დაეთხოვათ. უმუშევრობამ მთლად ამოაგდო კალაპოტიდან, სადაც წაახელებდა, იქ სვამდა. ვერც ოჯახმა აიტანა გალოთებული მამა. ჯერ ბზარი გაჩნდა, შემდეგ დანრეკვის პირამდე მივიდა ოჯახი. ასეთ რთულ ვითარებაში ვახტანგი ჩაერია. მრავალგზისი რჩევა-დარიგების შემდეგ, როგორც იქნა, დაითანხმა სამკურნალოდ წასულიყო. ხანგრძლივ მკურნალობას შედეგი მოჰყვა. თითქოს ადამიანი მეორედ დაიბადაო, დაუბრუნდა საზოგადოებას, ოჯახმაც შვებით ამოისუნთქა. გიორგიმ თავზეკერის სამმართველოში დაიწყო მუშაობა. ამჟამად ერთ-ერთი მოწინავე კაპიტან-ბრიგადირია. აი, რა შეუძლია თანადგომასა და დახმარებას, კაცი-კაციათაო ტუუილად კი არ ამბობს ხალხური სიბრძნე.

ორგანოს მუშაკს ზოგჯერ ოპერატიული ზომების მიღებაც უხდება. ფხიზელმა და გამოცდილმა ინსპექტორმა არა მარტო თავის ზონაში, სხვა ზონებშიც უნდა იცოდეს, ვინ რას წარმოადგენს, მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეს კოლეგებთან. მაშინ გაუადვილდება რთული საქმეების გახსნა. ახლახან უბნის მცხოვრები ი. შატალინა აფორიაქებული მიეკრა, მიშველე, გამეურდესო. ვახტანგი და იბრაგიმ ქადაგიძე მაშინვე ცხელ კვალს დაადგნენ. ოპერატიულ ზომებს შედეგიც მოჰყვა. ვინ აღმოჩნდა ქურდი? შატალინას შვილის „მეგობარი“ მიშა გრომოვი. რამდენი ასეთი შემთხვევის ჩამოთვლა შეიძლება. ახლახან დააკავეს არასრულწლოვანი უმანსკი და ფატლაძე, რომლებმაც „სოიუზპეჩატის“ ჯიხური გაქურდეს. ასეთივე მონდომებით მუშაობენ ნარკომანთა, მოქთახორების, ქურდების, რეციდივისტების გამოსავლენად. საქმეს ბოლო არ უჩანს. თუ სამოქმედო ზონაში, ქალაქში წესრიგი არ არის, არ შეიძლება მილიციის ინსპექტორმა მშვიდად იგრძნოს თავი.

ახოვანი, ტაბლად მოუბარი, მშვიდი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე — ასეთია ვახტანგ ჩხუბაძე.

ფილოლოგს რამ გადაგაწყვეტინა მილიციაში წასვლა-მეთქი, ვკითხეთ. გაიღიმა და გულიც გადაგვიშალა. ადამიანი ქედაში, რვა და-ძმა ცხოვრობდა ოჯახში. მხატვრულმა ლიტერატურამ გაიტაცა. დეტექტიურმა წიგნებმა და კინოსურათებმა შეაყვარა ჩეკისტის მძიმე და სახიფათო პროფესია. არმიიდან დაბრუნებულმა მტკიცედ გადაწყვიტა შინაგან საქმეთა ორგანოებში დაწყება მუშაობა. მიიღეს პატრულში დაუსწრებლად სწავლობდა ინსტიტუტში, უანგარო, თავდადებულმა სამსახურმა, თვით ცხოვრებამ ბევრი რამ შესძინა.

— როცა შენ ფხიზლობ, ჩვენ მშვიდად გვძინავსო, ზოგჯერ ხუმრობით, ზოგჯერ გულწრფელად მეუბნებიან. ასეთი სიტყვები ძალას მმატებს, — თქვა ვახტანგმა, — ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო და დაფასებაა.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 1986-1987 სასწავლო წელს ზამთრის არდადეგები ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის მოეწყობა 1986 წლის 31 დეკემბრიდან 1987 წლის 12 იანვრამდე. მეცადინეობა შეწყდება სამშაბათს მომდინარე წლის 30 დეკემბერს. გაკვეთილების შემდეგ და განახლდება ორშაბათს, 1987 წლის 12 იანვარს. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲙᲣᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲞᲐᲕᲐᲜᲐ. დამამთავრებელ წელს ეროვნული ეკონომიკის განვითარების დაწვრილებითი ანალიზი და მისი მომავალი წლის პერსპექტივები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1987 წლის ერთიანი გეგმისა და ეროვნული ბიუჯეტის პროექტების განხილვა — ამ საკითხებს მიეძღვნა აქ გამართული კუბის კომუნისტური პარტიის III პლენუმი. ახლა მიღებულ დოკუმენტებს წარუდგენენ განსახილველად სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის სესიას, რომელიც 25-26 დეკემბერს გაიმართება.

პლენუმზე დამტკიცდა ეროვნული საკონტროლო-სარევიზიო კომიტეტის შემადგენლობა, რომელსაც მეთაურობს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ხუან ალმეიდა ბოსკე. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინადადებით პლენუმმა კარლოს ალდანა ესკალანტე და პედრო როსა ლეალი აირჩიეს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრებად.

პლენუმის დახურვისას გამოვიდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო. დაწვრილებით გააანალიზა რა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, იგი შეეხო ქვეყანაში შექმნილ სიძნელეებს, რომლებიც გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და კაპიტალისტურ ქვეყნებთან არათანასწორუფლებიანი სავაჭრო გაცვლის შედეგებმა, აგრეთვე არაბელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა და სტიქიურმა უბედურებებმა.

კუბის ხელმძღვანელნა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხარვეზებსა და შეცდომებს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის საკითხებში, წარმოებისა და მომსახურების სფეროებში. მათი უსწრაფესი ლიკვიდაციაკ ხაზგასმით აღნიშნა მან, აუცილებელი პირობაა სოციალისტური ᲔᲬᲘᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ გზით წარმატებული წინსვლისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაძაბული გეგმის შესრულებისათვის. ფ. კასტრომ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროს არსებული მატერიალური ბაზის, ადამიანთა რესურსების, კვალიფიციური მუშახელის, კუბელი ხალხის რევოლუციური გამოცდილების ოპტიმალურ გამოყენებას. ᲔᲜᲘ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადამწყვეტი როლი აქვს ადამიანის, იდეოლოგიურ და მორალურ ფაქტორებს, თქვა, რომ საჭიროა გაახორციელონ შრომითი აღზრდის დისციპლინის განმტკიცების, ეთიკისა და შრომის კულტურის ამაღლების პრინციპები.

დასასრულ ფ. კასტრომ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ კუბის კომპარტია წარმატებით შეასრულებს თავის ისტორიულ ამოცანას, კვლავაც გაიყოლიებს მასებს, მბარს დაუჭერს მათთან მჭიდრო და ურღვევ ერთიანობას.

◆ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲐᲜᲢᲘᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲓᲔᲚᲘ, ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲙᲐᲠᲐᲩᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲠᲔᲙᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1987 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ — ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲫᲦᲕᲚᲘ ᲐᲥ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ III ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 25-26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ.

„ᲕᲝᲘᲐᲯᲔᲠᲘᲡ“ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ. ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲠᲤᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲯᲝ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ. ᲔᲡ ᲤᲠᲤᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲠᲤᲜᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲠᲤᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲠᲤᲜᲐ ᲐᲠ

საახალწლო ფალავანი

ᲑᲐᲠᲐᲥᲐ ᲜᲣ ᲛᲝᲒᲐᲙᲚᲓᲔᲑᲐᲗ!

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის მოახლოება შეიმჩნევა გამოცოცხლებული სადღესასწაულო ვაჭრობითაც, რომელიც გაშლილია საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს იგი, გვიამბობს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი ა. მოსესესიანი:

— მიმდინარე წლის უკანასკნელი დეკადა, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით დაძაბულია ვაჭრობის მუშაკთათვის. იგი რომ მაღალ დონეზე წარვმართოთ, საჭიროა ვაჭრობის მოქნილი და გონივრული ორგანიზაცია. ამიტომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მომსახურების დონის ამაღლებას, ვიტრინების გაფორმებას. სადღესასწაულო არის მორთული მაღაზიები, აქ სრულ წესრიგშია მოყვანილი სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობა, დაწესებულია უფმეტივი მორიგეობა.

მომხმარებლისათვის საქონლის დროული და თანაბარზომიერი მიწოდების კონტროლი იკისრა ვაჭრობის სამინისტროსთან შექმნილმა სპეციალურმა შტაბმა. ისეთი პროდუქტების რესურსები, როგორიც არის მინერალური და ხილის წყლები, თევზის კონსერვები, მარგარინი, მაიონეზი და სხვა, რომლებიც მიეკუთვნება საქმარისი ასორტიმენტის საქონლის ჯგუფს, ისეთი მნიშვნელოვანი რაოდენობით არის მომარაგებული, რომ გამორიცხულია სავაჭრო ქსელში მათი მიწოდების შეფერხება.

რაც შეეხება ხორცსა და ყველს, მაგალითად, თბილისსა და რუსთავში ეს პროდუქტები ძირითადად ნაწილდება ნორმირებული წესით. უნდა აღინიშნოს, რომ სადღესასწაულო ვაჭრობაში ბევრად უფრო მეტი გაიყიდება ყველა სახეობის პროდუქტი, ვიდრე შარშან: ხორცი — 600 ტონით, რძის პროდუქცია — 1200 ტონით, კვერცხი — ხუთი მილიონი ცალით, საკონდიტერო ნაწარმი — 200 ტონით მეტი და ა. შ.

საახალწლო საჩუქრებს უმზადებენ მმართველებს ქართველი კოოპერატორები. ტრადიციული გოზინაყი, ჩურჩხელა, ფელამუში, ჩირი, საკონდიტრო ნაწარმი, მანდარინი და სხვა ნუგბარი დიდი რაოდენობით გაჩნდება რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის მაღაზიების დახლებზე.

საახალწლო ვაჭრობაში ჩაებნენ საზოგადოებრივი კვების საწარმოებიც. პირველი კლასის რესტორნები და კაფეები მომზმარებელს სთავაზობენ საკუთარი წარმოების მრავალფეროვან ნახევარფაბრიკატებს, კულინარულ და საკონდიტრო ნაწარმს. აქ კვლავ ეწყობა პოპულარული გამოფენა-გაყიდვა იმათთვის, ვინც გადაწყვიტა ახალ წელს შინ შეხვდეს. საჩუქრების საწარმოებში ახალი წლის აღნიშვნის მსურველებს კი მათი მუშაკები ეუბნებიან: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

(საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66-10, ᲑᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢ ᲣᲚᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 98-95-20, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — 98-20-84, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 98-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 98-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ — 98-22-98, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 98-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲕᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 98-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 98-95-24.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-88-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 8-34-44; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲔᲚ�წᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲑᲣᲘᲔᲑᲣᲚᲘ — 25-82.

ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲦᲕᲐᲜᲚᲘ

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ფასდაუდებელია სერგი ნარიკაშვილის ღვაწლი ჩვენი ფიზიოლოგების თაობათა აღზრდაში, ფიზიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში, კოლეგებსა და უმცროს მეგობრებს შორის სათნოების, სიმართლისა და ურთიერთპატივისცემის დანერგვაში. ღვაწმოსილმა მკვლევარმა დიდი წვლილი შეიტანა აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის მიერ შექმნილი ქართული ფიზიოლოგიური სკოლის საერთაშორისო აღიარების საქმეში.

სერგი ნარიკაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა 1930 წელს და მუშაობა დაიწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტად. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო 1931 წელს. იგი ნაყოფიერად მუშაობდა ჯერ საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიოლოგიის სექტორში, შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამირკავკასიისა და საქართველოს ფილიალის ბიოლოგიის სექტორში. სამეცნიერო-კვლევითის მუშაობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ ორგანიზაციულ მუშაობას — იყო აღნიშნული ორგანიზაციების ბიოლოგიის სექტორისა და შემდეგ ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი. 1938 წელს ს. ნარიკაშვილი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მიიწვიეს ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ, სადაც მან შექმნა კარგად აღჭურვილი ლაბორატორია და თანამშრომლებთან ერთად დაიწყო ადამიანის დაღლილა და აქტიური დასვენების, აგრეთვე ფიზიკურ ვარჯიშებთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენის ნაყოფიერი შესწავლა.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ს. ნარიკაშვილი სამეცნიერო მივლინებით გაეგზავნა ლენინგრადში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც აკადემიკოს ლ. ორბელის კონსულტაციით მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე. სამამულო ომის პირველ წლებში ს. ნარიკაშვილი საავიაციო სამხედრო ნაწილში მსახურობდა. ამ წლებში შევიდა პარტიის რიგებშიც. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ თავის საქმეს დაუბრუნდა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ჯერ სწავლულ მდივნად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1953 წლიდან მოყოლებული 15 წლის განმავლობაში ამ დაწესებულების ხელმძღვანელი იყო.

1946 წელს ს. ნარიკაშვილმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში (ლენინგრადი) წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მაღალ პროფესორის წოდება მიენიჭა.



1961 წელს — არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ამავამად პროფესორი ს. ნარიკაშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ქერქსა და ქერქქვეშა წარმონაქმნების ურთიერთმოქმედების შემსწავლელ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს, სადაც თავის თანამშრომლებთან ერთად იკვლევს თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის აქტუალურ საკითხებს. სერგი ნარიკაშვილის მეცნიერული ღვწის ნაყოფია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული ორასზე მეტი ნაშრომი, რომლებიც შეეხება ზურგისა და თავის ტვინის მოქმედების ძირითად კანონზომიერებას.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი ნერვ-კუნთის აპარატის მოქმედებას შეისწავლიდა. საბჭოთა კავშირში მან ერთ-ერთმა პირველმა გამანა აციტილქოლინის მოქმედება შეისწავლა ჩონჩხსა და ზოგიერთ უხერხემლო ცხოველთა კუნთებზე. მეცნიერს დიდი წვლილი აქვს ზურგის ტვინის მოქმედების ზოგად ფიზიოლოგიურ კანონზომიერებათა დადგენაში. ამ ჯგუფის შრომებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზურგის ტვინის რეფლექსური მოქმედებაზე თავის ტვინის ღეროს ერთ-ერთ ნაწილში — არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲦᲕᲐᲜᲚᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ს. ნარიკაშვილი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ოცდახუთ წელზე მეტი იყო ი. სეჩენოვის სახელობის სსრ კავშირის ფიზიოლოგთა ეროვნული საბჭოს ბიუროს წევრი. დღიდან დაარსებისა არის საკავშირო ჟურნალ „ნეიროფიზიოლოგიის“ სარედაქციო საბჭოს წევრი, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული საერთაშორისო ჟურნალის „ფიზიოლოგია და ქცევა“ რეგიონული (საბჭოთა კავშირიდან) რედაქტორი, ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს — „ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია“ — ბიუროს წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ადამიანისა და ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ნეიროფიზიოლოგიის სამეცნიერო საბჭოს ბიუროს, თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (იბრო), საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრი.

ს. ნარიკაშვილის ღვაწლი საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში სათანადოდ დაფასდა: 1963 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოდა შრომის წითელი დროშის, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მრავალი მედლით, საპატიო სიგელებითა და ნიშნებით.

სერგი ნარიკაშვილის ხანგრძლივი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი შესანიშნავი პიროვნული თვისებები, დიახაც რომ, მაგალითია ჩვენი მომავალი თაობისათვის.

Ე. ᲛᲝᲜᲘᲐᲕᲐ,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ნეიროენდოკრინოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგე.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲨᲐᲠᲗᲐᲜ

ᲐᲛ ეტაპზე თბილისში, დონეცკსა და რიგაში მიმდინარე კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, და ეს იმიტომ, რომ ასპარეზობაში მიღებული 12 გუნდიდან ჯერ კიდევ ბევრს აქვს შესაძლებლობა გადაწყვიტოს ფინალისტთა ექვსეულში დამკვიდრების კოხერეტული ამოცანა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ყოველი მათგანი შეეცდება წარმატების მოპოვებას და ამდენად ბრძოლაც ერთობ უშეღავათო იქნება. ამ ტურის პირველ შეხვედრაში თბილისის „დინამომ“ კიევის „სტროიტელს“ უმასპინძლა და თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა. ცხადია, ამან სასურველი ნაყოფი გამოიღო, რაც იმით გამოიხატა, რომ უკვე შუა ტაიმში თბილისელები დიდად დაწინაურდნენ — 23:6. მასპინძლები ამის შემდეგაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 45:29. შესვენების შემდეგ დინამოელები მშვიდად, გააზრებულად, დამაჯერებლად მოქმედებდნენ და მატჩში საბოლოო გამარჯვება მოიპოვეს — 84:72. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მასპინძელთა სასტარტო ხუთეულმა (დარსაძე, სანაძე, კაპუსტინი, ოპოშნიანი და ტიუბინი). შეიძლება ითქვას, რომ ამ შეხვედრის ძირითადი სიმძლავრე ეს ორნი ფლეიერი გადაიტანეს. ეს ეხება კალათბურთის დანარჩენ ფლეიერებს, მატჩის ცალკეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელ ოლიმპიურ ჩემპიონს, ამერიკელ ბ. ბ. ბ. ... ...